# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-149

01/02/2021 ქ. თბილისი

**ქ. ქუთაისში, შპს „პოლიმერის“ პლასტმასის ნარჩენების გადამუშავებისა (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს ქ. ქუთაისში შპს „პოლიმერის“ პლასტმასის ნარჩენების გადამუშავებისა (ნარჩენების აღდგენა) და პლასტმასის ნაკეთობათა საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N5 (12.01.2021);
2. შპს „პოლიმერმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N5 (12.01.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლვ გაეგზავნოს შპს „პოლიმერს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პოლიმერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი